ნესტან სულავა

არეოპაგიტული მოძღვრება სიკეთისა და ბოროტების შესახებ, როგორც „ვეფხისტყაოსნის" კომპოზიციის ერთ-ერთი საფუძველი

„ვეფხისტყაოსანში" ასახული ეპიზოდები ერთმანეთს ენაცვლება და პოემის სიუჟეტურ მსვლელობას დაძაბულობით, მოულოდნელობებით ავსებს, რის საფუძველზეც პოემის კომპოზიციური ღერძი იკვრება და ჰარმონიულობა იქმნება, რაც მკითხველის ინტერესს გაუნელებლად ზრდის. „ვეფხისტყაოსნის" წინამორბედ ლიტერატურულ ნაწარმოებებს განსხვავებული კომპოზიციური აგებულება ჰქონდა, რადგან ძირითადად სპეციფიკური ნიშნებით გამორჩეული ჰაგიოგრაფიული და ჰიმნოგრაფიული ჟანრის თხზულებები იქმნებოდა. მათი კომპოზიცია, აგებულების პრინციპები, კომპონენტები საუკუნეთა მანძილზე ყალიბდებოდა და სიახლე მოულოდნელი იყო. საერო მწერლობის განვითარებამ თავისი ეპოქალური ცვლილებები მოიტანა და, შესაბამისად, მხატერული ნაწარმოების კომპოზიციაც, მისი აგების პრინციპებიც შეიცვალა. „ვეფხისტყაოსანში" კომპოზიციას წინარელიტერატურული ტრადიციებისაგან განსხვავებული მხატვრული ფუნქცია დაეკისრა, რაც ეპოქის ლიტერატურულ-ესთეტიკურმა მოთხოვნებმა განაპირობეს.

„ვეფხისტყაოსნის" კომპოზიციას მრავალი მხატვრული ელემენტი, ეპიზოდი, სიტუაცია, დეტალი განსაზღვრავს. სამეცნიერო ლიტერატურაში პოემის კომპოზიციის წრიულობის შესახებ გამოითქვა საგულისხმო მოსაზრება ['ხარიძე, 2002)] რომელიც დაკვირვებასა და კვლევას კვლავ მოითხოვს. უნდა აღინიშნოს, რომ ყოველი კომპოზიციური ელემენტი პოემის მთავარი სათქმელის ასახვას, ძირითადი მიზნის განხორციელებას უწყობს ხელს. პოემაში კომპოზიციის წრიულობა მრავალი ეპიზოდითა და კომპონენტით წარმოჩნდება. ერთ-ერთია არეოპაგიტული მოძღვრება სიკეთის არსებობისა და ბოროტის უარსობის შესახებ. „ვეფხისტყაოსნის" სიუჟეტის განვითარების საღვთისმეტყველო და ფილოსოფიური საფუძველია არეოპაგიტული მოძღვრების ერთ-ერთი ძირითადი დებულება, რაც პოემის კომპოზიციას განსაზღვრავს და წარმართავს. კომპოზიციური თვალსაზრისით სიკეთისა და ბოროტების მიმართების არეოპაგიტული სიბრძნე უაღრესად მნიშვნელოვანია, რადგან პოემის დასაწყისში თინათინის მიერ დასმულ კითხვას კეთილის მარადიულობისა და ბოროტის უარსობის შესახებ - „ბოროტიმცა რად შეექმნა კეთილისა შემოქმედსა?" - პოემის დასასრულს პასუხი ისევ ბიბლიურ-ევანგელური სწავლებისა და არეოპაგიტული სიბრძნის საფუძველზე ავთანდილმა გასცა: „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია" (1361). სიკეთის მარადიულობისა და ბოროტების უარსობის არეოპაგიტული მოძღვრებით თინათინისა და ავთანდილის სულიერი ერთიანობაა წარმოდგენილი, რაც ამ პერსონაჟთა სახე-ხასიათების გახსნას ემსახურება. შოთა რუსთველის პოემის პერსონაჟთა ჰარმონიულობა, ჰარმონიული შეხამება ის იშვიათი მთლიანობაა, რაც იმ დროისა და უფრო გვიანდელი ეპოქის აღმოსავლურ და დასავლურ ლიტერატურულ ტრადიციებში არ შეინიშნება. ეს ფაქტი პოემის კომპოზიციის ერთ-ერთ საფუძველად უნდა მივიჩნიოთ.

არაბეთში ყოველივე ღვთის ნებით ხდება და დასაწყისიდანვეა მოცემული სამყაროს მთლიანობის დაცვის იდეა, სახელმწიფოს მთლიანობა, ადამიანის შინაგანი მთლიანობა, მაგრამ სამყაროს მთლიანობის შესახებ ავტორისეულ წარმოდგენას უცხო მოყმის გამოჩენა არღვევს. ღვთისგან ქმნილ სამყაროში ყოველი ელემენტი ჰარმონიულად უკავშირდება სხვა ელემენტებს და ქმნის ერთ სრულყოფილ მთლიანობას. სწორედ ეს ორგანული მთლიანობაა სამყაროს სილამაზის,

მშვენიერების არსობრივი საფუძველი. ამიტომ თუ სადმე ბოროტებას აქვს გასაქანი და უბედურება არსებობს, აუცილებელია მისი აღმოფხვრა, რასაც არაბეთი უნდა შეეცადოს, მან სამყაროს დარღვეული წონასწორობა უნდა აღადგინოს. კომპოზიციურად მკითხველის ინტერესი სიკეთის გამარჯვებასა და ბოროტების დათრგუნვაზეა ორიენტირებული, რაც ქაჯეთის ციხის აღებით დასრულდა. ფაქტობრივად, პოემას გმირთა ქმედების უმთავრესი იდეის განხორციელება, სიკეთის გამარჯვება და ბოროტების დამარცხება, აგვირგვინებს, რაც თხზულების დასაწყისსა და დასასრულის სიმეტრიულობას, ჰარმონიულობას, კომპოზიციის წრიულობას მოწმობს. „ვეფხისტყაოსნის" კომპოზიციურ შეკვრაში, ჰარმონიულობაში არეოპაგიტულ სიბრძნეს დიდი წვლილი მიუძღვის.

თინათინი პოემის დასაწყისიდანვე სრულყოფილ პიროვნებად წარმოისახება, იგი მამისაგან სწავლებულ სიბრძნეს აღასრულებს და მუდმივად ფხიზლობს. მისი გონება ვერ იჯერებს იმას, რომ ნადირობისას მამინენილი უცხო მოყმე რეალური არაა და, როგორც როსტევანი უწოდებს, უხორცოა. თინათინის სახის სრულყოფილებას ისიც ადასტურებს, რომ იგი პოემაში იხსენიება არა დედოფლად, არამედ მეფედ, ქედ, რაც საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების, იდეოლოგიის, კერძოდ, თამარ მეფის ალუზიური სახისმეტყველებითაა შთაგონებული.

პოემაში თინათინი სულ რამდენიმეჯერ გამოჩნდება და იმთავითვე სრულყოფილად. არაბეთი რომ საღვთო სიბრძნისა და მეცნიერების საუფლოა, ამას როსტევანის მოკლე დახასიათება, ვაზირებთან საუბარი და თინათინის გამეფებისას მისი დარიგება მოწმობს. როსტევანი იშვიათი შეზავებაა ძველი და ახალი სიბრძნისა, ფაქტობრივად, იგი, ძველი სიბრძნის მფლობელი, ახალ სიბრძნეს უყრის საფუძველს, იწყებს ახალ ერას. მაგრამ არაბეთს სრულყოფილება თინათინმა უნდა მოუტანოს, ხოლო არაბეთის გარდასახვასა და ახლებურ მოწყობაში თინათინთან ერთად ავთანდილსაც განმსაზღვრელი როლი ეკისრება. არაბეთში ყოველივე ღვთის ნებით ხდება, როსტევან მეფემ ახლად გამეფებული ასული დალოცა და ბრძნული დარიგებებიც მისცა. არაბეთში იმთავითვეა მოცემული სამყაროს მთლიანობის დაცვის იდეა, სახელმწიფოს მთლიანობა, ადამიანის შინაგანი მთლიანობა, რაც „ვეფხისტყაოსანში" ღვთისნებისთვის აისახება. თუმცა, არაბეთში უცხო მოყმის მოულოდნელმა გამოჩენამ სამყაროს მთლიანობის შესახებ არსებული წარმოდგენა დაარღვია და მის აღსადგენად ახალი თაობის წარმომადგენელთა, თინათინისა და ავთანდილის, გარჯა და ცდა გახდა აუცილებელი.

პოემის დასაწყისში მოცემული თინათინის რუსთველური შეფასება: „ცნობითა ბრძნად მხედველითა" და როსტევანის საღვთო და საერო სიბრძნით გაჯერებული დარიგება, რომელსაც ხალხური მსოფლშეგრძნებაც თან სდევს, თინათინის მეფობის სამოქმედო პროგრამად ისახება. უწინარესად უნდა განიმარტოს „ცნობითა ბრძნად მხედველითა" საღვთისმეტყველო და ფილოსოფიური საგაზრდოვნო სისტემების კვალობაზე. წმ. იოანე დამასკელის შეხედულებით, სიბრძნე, ცნობა, ცოდნა შემეცნების შედეგია: „სიბრძნე ესრეთ ჰმატს მეცნიერებასა, რამეთუ მეცნიერებაჲ არს ცნობაჲ ხილულთაჲ, ხოლო სიბრძნე არს, რა ხილულნიცა უწყოდნის და უხილავთაცა მეცნიერ იყოს და ეითარმედ ხილულნი ესე დაჴსნად, ხოლო უხილავნი იგი დაუჴსნელ არიან" (დამასკელი, 1976: 179). წმ. იოანე დამასკელის ნაგაზრევიდან ჩანს, რომ ცოდნა თვალით ხილულს ემყარება, ხოლო სიბრძნე_ თვალით ხილულსაც, მაგრამ უპირატესად, თვალით უხილავს. ესაა სიბრძნის უმთავრესი უპირატესობა. შემეცნება სულიერი ცხოვრებით იწყება, იგი ზეაღმავალი გზით მიედინება, სულსა და პირველსაწყისს შორის არსებულ ყველა საფეხურს გაივლის. სულსა და პირველსაწყისს შორის მდებარე ყოველი საფეხური გვეელინება, როგორც შემმეცნებელი და, ამავე დროს, შესამეცნებელი; ამიტომ ცნობა, ცნება, შეცნობა ძირითადად ღვთის შეცნობას უკავშირდება. ახალი აღთქმის მიხედვით, კაცობრიობას ღვთაებრივი სიბრძნე ბუნების შეცნობის საშუალებით მიეცა. ადამიანი ბუნების მოვლენების შეცნობით, მისი კანონზომიერების ამოკითხვით უნდა მისულიყო სამყაროს შემოქმედის, დასაბამიერი ერთის აღიარებამდე, მაგრამ ადამიანის გონებამ ვერ შეძლო ეს და შემოქმედის ნაცვლად მის მიერ შექმნილნი გააღმერთა [გრიგოლაშვილი, 1975: 191], რის გადალახვასაც საუკუნეების დასჭირდა. თინათინის შესახებ ნათქვამში „ცნობითა ბრძნად მხედველითა" „ცნობა" შეცნობას, ცოდნას აღნიშნავს, რაც თინათინის სულიერ გამოცდილებას,

ნათლით ბრწყინვას, ღმერთთან ყოფნას მოწმობს, რის შედეგადაც იგი სიკეთისა და ბოროტის არსობა-უარსობის სიღრმეს წვდება.

ღმრთიეგანბრძნობილმა თინათინმა უცხო მოყმის ნახვის შემდეგ არაბეთში შექმნილი ვითარება, რაც მთელ სამყაროზე ვრცელდება, საკუთრივ სწორად შეაფასა. ეპიზოდს რამდენიმე მხატვრული ფუნქცია აკისრია; ერთი მხრივ, აქ თინათინის რიდი მამის წინაშე კიდევ ერთხელ გამოჩნდა, როდესაც მამის დარბაზთან მისულმა თინათინმა მამის განწყობილების შეტყობა მოიწადინა და მოიკითხა, ხოლო მსახურებმა ამცნეს როსტევანის მოწყენილობის ამბავი; მეორე მხრივ, მამისა და ბრძენთაგან განსწავლული თინათინი მის მიერ ხმობისთანავე გამოცხადდა მასთან და დანაღვლიანებული მშობლის დამშვიდებას შეეცადა; აუხსნა, რომ ღმერთისა და ბედის მდურვა სიკეთეს ვერ მოიტანს, მით უფრო, რომ კეთილის შემოქმედი ღმერთი, ყოველთათვის ტკბილად მხედი, ბოროტს არ შექმნიდა; თუ ბოროტება არსებობს, იგი მხოლოდ წუთისოფლისეულია, ბედისაგან მომდინარეა, იგი არაა ღვთის ნებისაგან მომდინარე, ანუ განგებისმიერი:

ჰე მეფეო, რად ემდურვი ანუ ღმერთსა, ანუ ბედსა?

რად დასწამებ სიმწარესა ყოველთათვის ტკბილად მხედსა?

ბოროტიმცა რად შეექმნა კეთილისა შემოქმედსა?! (114).

არეოპაგიტული მოძღვრება სიკეთის მარადიულობასა და ბოროტის წუთისოფლის დროის ფარგლებში არსებობას განმარტავს: „ბოროტი არა სახიერებისაგან არს; და უკუეთუ სახიერებისაგან არს, არა ბოროტ არს; რამეთუ არცაღა ყინვაჲ ცუცხლისაგან არნ, არცა სახიერსა თუს ეყვის დაბადებაჲ უსახურისაჲ. და უკუეთუ არსნი ყოველნი სახიერებისაგან არიან /რამეთუ ბუნება სახიერისა არს დაბადებაჲ და ცხოვნებაჲ, ხოლო ბოროტისა გახრწნაჲ და წარწყმედაჲ/, არარაჲ არსთაგანი არს ბოროტისაგან" [პეტრე იბერიელი 1961: 44)] „უკუეთუ ყოველნი არსნი სახიერებისაგან არიან და თუთ სახიერებაჲ მიერ კერძო არს ყოველთა არსთა, არს უკუე სახიერებასა შინა არა არსიცა იგი არსი, ხოლო ბოროტი არცა არს არს" [პეტრე იბერიელი 1961: 44)] „ხოლო თუ ბოროტი არც არსთა შორის არს, არცა არა არსთა, არამედ თუთ მის არა არსისაცა ფრიად რაიმე უცხო არს იგი და განერდომილ სახიერებისაგან და ფრიად უფროჲს მისსა უარსებო" [პეტრე იბერიელი 1961: 45]. ეს იმას მოწმობს, რომ ღმერთი მხოლოდ სიკეთეს ქმნის, ბოროტი მხოლოდ ხილულ სამყაროში არსებობს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ თვით სოფელია ბოროტი და დაცემული. შესაქმის პროცესის მიხედვით, ის, რაც ღმერთისაგან შეიქმნა, მხოლოდ სიკეთეა, ე. ი. სოფელი, ხილული სამყარო სიკეთეა, დროც სიკეთეა. ბოროტებას გასაქანი მხოლოდ წუთისოფელში ეძლევა, თუმცა, იგი, როგორც წუთისოფელში არსებული, დროებითია, წარმავალია, დაუდგრომელია; ბოროტებას მარადიულობასთან საერთო არაფერი აქვს. იგი ღვთისაგან არ მომდინარეობს, დასაბამი ღვთისაგან არა აქვს. შესაბამისად, „ევფხისტყაოსანში" ასახული არეოპაგიტული სიბრძნით მითითებულია, რომ კეთილის შემოქმედი ღმერთი ბოროტებას არ შექმნიდა და არც ნადირობისას ნანახი უცხო მოყმე შეიძლება ბოროტი ძალა იყოს.

ამიტომ თინათინი როსტევანს უცხო მოყმის მოძებნას ურჩევს, რათა შეიცნოს, „არის იგი ყმა შობილი, თუ უშობელი" (115), ე. ი. გაარკვიოს მისი რეალურობა, არსებობა-არარსებობა. თინათინის სიტყვები მისი ღმრთიეგანბრძნობილობის, საღვთო სიბრძნით განსწავლულობის გამოვლინებაა, რაც მისი, როგორც ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟის, პოემის სიუჟეტის ძირითადი მამოძრავებელი პერსონაჟის, უმნიშვნელოვანეს მხატვრულ ფუნქციას მოწმობს. თინათინის სიტყვებით არეოპაგიტული სიბრძნეა გადმოცემული სიკეთის არსებობისა და ბოროტების არარსებობის, კეთილის მარადიულობისა და ბოროტის უარსობის შესახებ. სიკეთის მარადიულობისა და ბოროტების უარსობის არეოპაგიტული მოძღვრებით თინათინისა და ავთანდილის სულიერი ერთიანობა, ჰარმონიულობა, მთლიანობაა წარმოდგენილი, რაც მათი სახეხასიათების გახსნას ემსახურება. სხვისი სიხარულით გახარება - ესაა თინათინისა და ავთანდილის ქმედებათა საფუძველია საფუძველი.

რომ არა თინათინი, დასვედიანებული როსტევანი უღონო იყო და ვერ საზღვრავდა, როგორ უნდა გაეგო უცხო მოყმის ამბავი. უცხო მოყმის მოძებნა აზრად არც ავთანდილს მოსდიოდა. თინათინის მარადიული მღვიძარება და ცნობიერი გონება იყო საჭირო ჯერ უცხო მოყმის მოსაძებნად,

საბოლოოდ კი ნესტან-დარეჯანისა და ტარიელის სულიერი ცხოვრების ასაღორძინებლად, რასაც უნდა მოჰყოლოდა პირიქვნების ღირსების აღდგენა და სამშობლოს//სამშობლოში დაბრუნება. თინათინმა, როგორც მარად მღვიძარე სულისა და საღი გონების პატრონმა, არ დაიჯერა უცხო მოყმის ამქვეყნად არარსებობა; მთელ არაბეთში ერთადერთი იყო თინათინი, რომელსაც არ ეეჭვებოდა ვეფხისტყაოსანი მოყმის რეალური არსებობა . ეს იმიტომ, რომ მან ძალიან კარგად იცოდა ვეფხისტყაოსნობის არსი, იცოდა, რომ ვეფხისტყაოსან უცხო მოყმეს ძლიერ გასჭირვებოდა, მისი სულიერი სამყარო შეძრული იყო და ძიების პროცესში იმყოფებოდა; ყოველივე ამის მიზეზი კი თინათინისათვის უცნობი იყო. ამიტომ სამყაროსა და ღვთით ბოძებული ადამიანის შინაგანი სამყაროს მთლიანობის აღსადგენად აუცილებელი გახდა, რომ თინათინს გაეგო ვეფხისტყაოსანი მოყმის ამბავი, შეეტყო მისი გასაჭირი, რად შემოსილა იგი ვეფხის ტყავის სამოსლით, რად ახურავს ვეფხის ტყავისაგან შეკერილი ქუდი და ხელი შეეწყო მისთვის მათგან განძარცვაში. თავისთავად, ეს თინათინის მაძიებელი ბუნების, ღმერთისაკენ მიმავალი გზის ძიების გამოვლინებაა. ვ. ლოსკის განმარტებით: „ძველი აღთქმა რწმენას ამკვიდრებდა, ამ ეპოქის კაცობრიობა რწმენით ცხოვრობდა და იმედისაკენ მიისწრაფვოდა; ევანგელური ეპოქის კაცობრიობა იმედით ცხოვრობს და სიყვარულისაკენ მიისწრაფვის; სიყვარული არის საიდუმლო, რომელიც გაიხსნება და სრულად განხორციელდება მხოლოდ მომავალ საუკუნეებში. როგორც იოანე ღვთისმეტყველი ამბობს, ეინც სიყვარულს მისდევს, მიენდობა, ბნელი განქარდება და უკვე ჭეშმარიტი ნათელი ანათებს" (1 იოანე 2, 8) [ლოსკი, 1991: 249]. თინათინის სახით მითოსურ, ლეგენდურ, ლიტერატურულ ტრადიციებში არსებული მამის მოღალატე ასულის დემითოლოგიზება მოხდა და იგი შოთა რუსთველმა თავისი დროის ლიტერატურული იდეალის, იდეალური გმირის ნიმუშად წარმოსახა.

არეოპაგიტული მოძღვრების ერთ-ერთი უდიდესი სიბრძნე, რომელიც ღვთაებრივიცაა და საერო ლიტერატურულ-ფილოსოფიურ ტრადიციებში არსებულიც, როგორც ორგვარი სიბრძნის ჰარმონიული შეზავების იშვიათი ნიმუში, რწმენისა და გონების ერთიანობას გვისახავს, რის საფუძველზეც, საზოგადოდ, სიბრძნის ესთეტიურობა ვლინდება. სიკეთის მარადიულობისა და ბოროტების დროებითობის ამსახველი არეპოაგიტული სიბრძნე პოემაში გმირთა გამარჯვებითაა რეალიზებული. მოქმედებათა განვითარებას გმირთა ხასიათები, გარემოებათა დაპირისპირებები წარმართავს და განსაზღვრავს, რაც წრიული კომპოზიციური ელემენტებითაა წარმოდგენილი და კონცეპტუალურ არსს იძენს. ის, რაც თინათინმა პოემის დასაწყისში „ბრძენი დივნოსის" სიტყვის კვალობაზე გვითხრა, უფრო სწორად, კითხვა დასვა, - „ბოროტიმცა რად შეექმნა კეთილისა შემოქმედსა?" ავთანდილმა საქმით აღასრულა და იგივე აზრი, იგივე სიბრძნე ქაჯეთის ციხის დამხობის შემდეგ არეოპაგიტულად გამოთქვა: „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია". ეს აზრი რუსთველის პოემაში არაერთგზისაა გამოთქმული, მაგრამ თინათინისა და ავთანდილის მიერ მოწოდებულმა არეოპაგიტულმა სიბრძნემ პოემაში კომპოზიციური ღერძის შემკერელის მხატვრული ფუნქციაც იკისრა.

ბიბლიოგრაფია:

გრიგოლაშვილი ლ. (2005): დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანი", თსუ გამომცემლობა, თბილისი.

ზარიძე ზ. (2002): ვეფხისტყაოსნის კომპოზიცია, თბილისი.

წმ. იოანე დამასკელი (1976): დიალექტიკა, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო მაია რაფავამ, „მეცნიერება", თბილისი.

კიკნაძე ზ. (2001): ავთანდილის ანდერძი, „მერანი", თბილისი.

Вл. Лосский (1991): Очерк мистического богословия восточной церкви, в кн. «Мистическое Богословие», Киев.

პეტრე იბერიელი (ფსევდო-დიონისე არეოპაგელი) (1960), შრომები, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო სამსონ ენუქაშვილმა, „მეცნიერება", თბილისი.

შოთა რუსთველი (1966): ვეფხის ტყაოსანი, I, აკაკი შანიძისა და ალექსანდრე ბარამიძის რედაქციით, გამომც.: „მეცნიერება", თბილისი.

სირაძე რ. (1975): ძველ-ქართული თეორიულ-ლიტერატურული აზროვნების საკითხები, თსუ გამომც., თბილისი.

სულავა ნ. (2009): „ვეფხისტყაოსანი" _ მეტაფორა, სიმბოლო, ალუზია, ენიგმა, გამომც.: „ნეკერი", თბილისი

სულავა ნ. (2012): სალეთისმეტყველო-ფილოსოფიური ტერმინები ჰიმნოგრაფიაში: ცნობა/ცნობიერება, გონება/გონიერება, ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარული კვლევები, „წელიწდეული", #3, გვ. 187-204. თბილისი.

შანიძე ა. (1964): ვეფხისტყაოსნის საკითხები, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.

Nestan Sulava

The Concept Evil and Kindness According the Areopagitika as a Main Basic Task of Composition of "Knight in the Tiger's Skin"

Abstract

The composition of the "Knight in the Tiger's Skin" is defined by several fictions, episodes, situations. The history of research shows that it is not one and clear definition, so it needs to redefined once again. Each element of composition has its unique meaning and cares about identification of main objectives of the poem. The whole composition which is vertical based and spiral functioned is given by several episode and components. One and the main is Areopagitika and its concept of non existing evil and existing of kindness. The base of development of orthodox and philosophic point of view of "Knight in the Tiger's Skin" plot is main thesis of Areopagitika which deals the composition of the poem. According the definition of the non existence of evil and existence of kindness Areopagitika is the main thesis. The question given by Tinatin in the beginning of the poem about non existence of evil and existence of kindness was answered at the end of the poem by Avtandil: "Devil was defined by the kindness; its existence is the longest" (1361). Eternity of kindness and non existence of evil given in the poem on the conceptual meaning of Areopagitika, makes the feeling integrity of Avtandil and Tinatin (main characters of the poem). This concept serves the characteristic of those person. It is the unique integrity of harmony of Shota Rustaveli poem's characters and the sample of like integrity is not even given not even in the same period and not later of other East and West literary heritage. Those Biblical and Areopagitika attitude to the task is given in the poem several times but the wisdom given by Avtandil and Tinatin is main fictional base for the poem and the research shows that it is the main and the most important base of the concept of the poem.